



ანტიფიზიოლოგიური საშუალების
კლინიკური რანდომიზაცია თავის
მნიშვნელოვანი ტრავმის დროს

მოკლე ინფორმაცია პაციენტის ოჯახისთვის CRASH-3 კვლევა

ტრანექსამური მჟავის გამოყენება თავის ტვინის მნიშვნელოვანი ტრავმული დაზიანების დროს; საერთაშორისო, რანდომიზირებული, ორმაგი ბრმა, პლაცებო კონტროლირებული კვლევა

თქვენ ნათესავს აქვს თავის ტრავმა, რომელსაც გადაუდებელი მკურნალობა სჭირდება. ის თავის ტრავმის სამკურნალოდ ჩვენს საავადმყოფოში გამოყენებულ ყველა სახის სამედიცინო დახმარებას მიიღებს. ამის გარდა, გვსურს მისი ჩართვა საერთაშორისო კვლევაში. ეს კვლევა შეისწავლის, ამცირებს თუ არა მედიკამენტი სახელად ტრანექსამური მჟავა თავის ტრავმის შემდგომ სისხლდენას თავში. იმედი გვაქვს, რომ ეს მედიკამენტი გამოჯანმრთელებას შეუწყობს ხელს. ვიცით, რომ მედიკამენტი ამცირებს სისხლდენას სხვა სახის მძიმე ტრავმების დროს და მას არ ახასიათებს გვერდითი ეფექტები, მაგრამ არ ვიცით, თუ როგორი მოქმედება აქვს თავის ტრავმების დროს.

კვლევაში მონაწილეობის შემთხვევაში თქვენ ნათესავს გაუკეთდება ინიექცია ვენაში, რომელსაც მოჰყვება გადასხმა რვა საათის განმავლობაში. კვლევაში მონაწილე პაციენტების ნახევარი მიიღებს ტრანექსამურ მჟავას, ხოლო მეორე ნახევარი კი - პლაცებოს (სითხეს, რომელიც არ შეიცავს ტრანექსამურ მჟავას). კვლევის დასრულებამდე არ გვეცოდინება, ვის რომელი მკურნალობა ჩაუტარდა. დაგჭირდება თქვენი ნათესავის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე გარკვეული ინფორმაციის მოგროვება და მისი ცენტრალურ ოფისში, ლონდონში გაგ ზავნა.

კვლევის შესახებ მეტი ინფორმაცია ეხლავე თუ გჭირდებათ, მოგახსენებთ. სხვა შემთხვევაში უფრო დაწვრილებით ინფორმაციას მოგვიანებით მიიღებთ. თანახმა ხართ, რომ საკვლევი თერაპია დავიწყოთ?

დიახ, თანახმა ვარ, რომ დაიწყოთ.

სახელი: _____

ხელმოწერა: _____

პაციენტთან ნათესაობითი კავშირის სახე: _____

თარიღი: _____

(მხოლოდ რაც საჭიროა, ის შეავსეთ)